

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №58

ქ. თბილისი

2020 წელი, 31 იანვარი, 10:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ბექა დავითულიანი, დავით ჭელიძე, დავით უთმელიძე, თევდორე ისაკაძე, ვახტანგ შაქარიშვილი, ჯაბა ჯიშყარიანი

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: გოჩა თევდორაძე, გიორგი გაბაშვილი, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ვლადიმერ ჭილაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი

ჯუბა ყანდარელი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები (წარმომადგენელი):

გიორგი ჭყონია
გიორგი კაპანაძე
დავით დანელია
ნინო ნადარეიშვილი
მარიამ ეფრემიძე
გიორგი ბენდელიანი

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი აბუთიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (საკრებულოს № 12-032002992-03 – 29.01.2020)

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-031936476-03 30.12.2019; №12-031936478-03 30.12.2019; №12-0320021125-03 21.01.2020; №12-03200238-03 23.01.2020; №12-0320023162-03 23.01.2020; №12-03200163 23.01.2020; №12-03200239-03 23.01.2020; 12-031931141-03 – 07.11.2019 (ტ პოზიცია); №12-0319149104-03 – 29.05.2019 (ზ პოზიცია)
3. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ბეჟან კალანდამის №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №211 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0320024196-03 24.01.2020 -0119336200-67)
4. ქალაქ თბილისში, სანაპიროს ქუჩა №12, საქანელას ქუჩა №23, საქანელას ქუჩას მიმდებარედ, მ. ჯავახიშვილის ქუჩა (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე), №11, სასწრაფო სადგურის მიმდებარედ, ქუჩა საქანელას №20-ის მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.003.024; №01.15.04.003.042; №01.15.04.003.044; №01.15.04.003.045; №01.15.04.003.005; №01.15.04.003.008; №01.15.04.003.013) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0320024195-03 24.01.2020 - 01192251226-67)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი აბუთიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (საკრებულოს № 12-032002992-03 – 29.01.2020)

კანდიდატი კომისიის წევრებს წარმოუდგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვლადიმერ ჭილაძემ. მისი თქმით, გიორგი აბუთიძე

გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციითა და პროფესიონალიზმით, შესაბამისად ის სავსებით შეესაბამება ვაკანტურ თანამდებობას.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ მხარი დაუჭირა მერის მიერ საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენილ კანდიდატს და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 77-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 80-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნევს წარმოდგენილ კანდიდატურის წარდგენას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-031936476-03 30.12.2019; №12-031936478-03 30.12.2019; №12-0320021125-03 21.01.2020; №12-03200238-03 23.01.2020; №12-0320023162-03 23.01.2020; №12-03200163 23.01.2020; №12-03200239-03 23.01.2020; 12-031931141-03 – 07.11.2019 (ტ პოზიცია); №12-0319149104-03 – 29.05.2019 (ზ პოზიცია)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-031936476-03 30.12.2019; №12-031936478-03 30.12.2019; №12-0320021125-03 21.01.2020; №12-03200238-03 23.01.2020; №12-0320023162-03 23.01.2020; №12-03200163 23.01.2020; №12-03200239-03 23.01.2020; 12-031931141-03 – 07.11.2019 (ტ პოზიცია); №12-0319149104-03 – 29.05.2019 (ზ პოზიცია) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა ჯუბა ყანდარელმა. მისი თქმით, წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის ტექსტურ ნაწილში, გრაფიკულ ნაწილში-რუკაში (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 35 წინადადება კერძოდ:

№12-031936476-03 - 30.12.2019;

ა) 2018 წლის 22 აგვისტოს N14-01182342292-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.02.357, N81.02.02.358, N81.02.97.168) მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ისა

(რზ-3) და სატყეო ზონის მოხსნა და ძირითადი რუკით გავრცელებული საცხოვრებელი ზონის (სზ) გავრცელება (ცვლილების ფართობი: 113 754 კვ.მ);

ბ) 2019 წლის 31 ივლისის N19/01192121125-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, დასახლება გლდანი, მიკრო/რაიონი VII, კოპრ. N24-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.004.108) შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალის ცვლილება და მასზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძირითადი რუკით განსაზღვრული ზონირების გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალის ცვლილება და მასზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძირითადი რუკით განსაზღვრული ზონირების გავრცელება ხორციელდება N01.11.10.004.110 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე (საერთო ფართობი: 790 კვ.მ);

გ) 2019 წლის 1 აგვისტოს N19/01192132321-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, ავჭალის მასივის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.13.15.397, N72.13.15.428, N72.13.15.328) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1). ვინაიდან მიმდებარე ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) მიზანშეწონილია სატყეო ზონა შეიცვალოს საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება ხორციელდება მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზე. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც (საერთო ფართობი: 10 875 კვ.მ);

დ) 2019 წლის 1 აგვისტოს N19/01192131879-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, ახალდაბის ჩიხი N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.08.031.014) შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალის ცვლილება და მასზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძირითადი რუკით განსაზღვრული ზონირების გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალის ცვლილება და მასზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძირითადი რუკით განსაზღვრული ზონირების გავრცელება ხორციელდება მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საერთო ფართობი: 824 კვ.მ);

ე) 2019 წლის 29 მაისის N19/01191491737-01 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, უიარაღოს ქ. N66-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.20.011.112) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც (საერთო ფართობი: 717 კვ.მ.);

ვ) 2019 წლის 24 აგვისტოს N19/011923619-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, გალის ქუჩა, ჩიხი I, N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.02.054.150) შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალის ცვლილება და მასზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძირითადი რუკით განსაზღვრული ზონირების გავრცელება (საერთო ფართობი: 135 კვ.მ);

ზ) 2019 წლის 26 აგვისტოს N19/0119238312-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.27.879) გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული ზონირების გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული ზონირების გავრცელება ხორციელდება მიმდებარე ტერიტორიაზეც (საერთო ფართობი 122 229 კვ.მ);

თ) 2019 წლის 16 მაისის N19/011913615-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა N55-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.14.11.064.043) სატყეო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3). ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც (საერთო ფართობი: 501 კვ.მ);

ი) 2019 წლის 5 აგვისტოს N19/01192171475-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, სოფელი დიდოში, დიდგორში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.016.334) სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონით ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონით ცვლილება ხორციელდება მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზე. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც (საერთო ფართობი: 4 610 კვ.მ);

კ) 2019 წლის 31 ივლისის N19/01192122356-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, ალექსანდრე სულხანიშვილის ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.01.04.289) გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის სზ-1) გავრცელება.

კომისიის სხდომაზე საოქმოდ ტექნიკური შესწორება მოხდა ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ხდება, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო-ზონა (ლსზ) და არსებული სარეკრეაციო ზონა-3-ის (რზ-3) მოხსნა და ძირითადი რუკით გავრცელებული საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1) ის გავრცელება. საერთო ფართობი: 31 443 კვ.მ 2014-2018 წლის ფუნქციური ზონირებით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

ლ) 2019 წლის 27 ივლისის N19/011920812-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, თეთრი ხევი, ჰესის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.039) სამრეწველო ზონა-1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება (საერთო ფართობი: 274 კვ.მ);

მ) 2019 წლის 5 სექტემბრის N19/0119248541-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, მეფე მირიანის ქუჩა N109-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.116) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება. ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), მიზანშეწონილია N01.10.08.005.116 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გავრცელდეს საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-იც (რზ-1) (საერთო ფართობი: 490 კვ.მ);

ნ) 2019 წლის 24 სექტემბრის N19/01192672882-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, ლამისყანას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.12.14.044.005) შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალის ცვლილება და მასზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძირითადი რუკით განსაზღვრული ზონირების გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალის ცვლილება და მასზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძირითადი რუკით განსაზღვრული ზონირების გავრცელება ზორციელდება მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: N01.12.14.043.016, N01.12.14.043.021 და მიმდებარედ) (საერთო ფართობი: 906 კვ.მ)

№12-031936478-03 - 30.12.2019;

ა) ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N3, N3-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.03.040.357; N01.14.03.040.352; N01.14.03.040.356) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე „ქ. თბილისში,

უნივერსიტეტის ქ. N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 8 ივლისის N1736 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 ნოემბრის N396 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N3, N3-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.03.040.357; N01.14.03.040.352; N01.14.03.040.356) ფუნქციური ზონის ცვლილება მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე - ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.151; N01.10.18.011.076; N01.10.18.006.112; N01.10.18.006.153) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე - ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.151, N01.10.18.011.076, N01.10.18.006.112, N01.10.18.006.153) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის N189 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვასა ჭირო ინფრასტრუქტურას, აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე - ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.151; N01.10.18.011.076; N01.10.18.006.112; N01.10.18.006.153) ფუნქციური ზონის ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N67-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.22.002.003) მოთხოვნილია საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება. საპროექტო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „თბილსერვის ჯგუფის“ (ს/კ 206267494) საკუთრებას. შპს „თბილსერვის ჯგუფისათვის“ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების გაზრდამ, თავის მხრივ წარმოშვა ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობა, რათა კომპანიამ ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება დედაქალაქის ნორმალურ ფუნქციონირებას, რის გამოც ესაჭიროება ზემო აღნიშნულ ტერიტორიებზე საწარმოო, სასაწყობო და ავტო-ტექნიკის მომსახურეობისათვის საჭირო შენობა-ნაგებობების განთავსება. აღნიშნული სამშენებლო - სარემონტო სამუშაოების განხორციელებისთვის საჭიროა მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდეს სპეციალური ზონა 1(სპეცზ-1). მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ სივრცეზე, სატრანსპორტო ზონა 1-სა (ტზ-1) და სპეციალურ ზონა 1-ს (სპეცზ-1) შორის, ხარვეზის სახით რჩება საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2

(სსზ-2). შესაბამისად, ლოგიკური კონტურის შეკვრის მიზნით, მიზანშეწონილია არსებულ სივრცეზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) გავრცელება. ზემოაღნიშნული გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N67-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.22.002.003) და მიმდებარედ არსებულ დაურეგულირებელ სივრცეზე საზოგადოებრივ - საქმიანობა 2-ის (სსზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

დ) ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი III (ნაკვეთი N25/63) და ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N125ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.025.063, N01.14.02.025.062) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. N25/62) საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 დეკემბრის N01/2883 ბრძანებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 26 დეკემბრის N N19.1411.1773 განკარგულებით, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე მოწონებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის N19.1388.1763 განკარგულებით მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი III (ნაკვეთი N25/63) და ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N125ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.02.025.063, N01.14.02.025.062) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

ე) ქალაქ თბილისში, ჭყონდიდელის ქუჩა N22, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N36 ე-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.12.12.024.206; 01.12.12.024.207; 01.12.12.024.208; 01.12.12.024.209; 01.12.12.024.210; 01.12.12.024.211; 01.12.12.024.212; 01.12.12.024.213; 01.12.12.024.214; 01.12.12.024.215; 01.12.12.024.216; 01.12.12.024.217; 01.12.12.024.218; 01.12.12.024.219; 01.12.12.024.220; 01.12.12.024.221; 01.12.12.024.222; 01.12.12.024.223; 01.12.12.024.224) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქ. თბილისში, გლდან-ნაძალადევის რაიონში, ჭყონდიდელის ქ. N 22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.018) საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 15 მარტის N436 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 26 დეკემბრის N19.1411.1772

განკარგულებით, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე მოწონებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის N19.1388.1763 განკარგულებით მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჭყონდიდელის ქუჩა N22, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.12.12.024.206; 01.12.12.024.207; 01.12.12.024.208; 01.12.12.024.209; 01.12.12.024.210; 01.12.12.024.211; 01.12.12.024.212; 01.12.12.024.213; 01.12.12.024.214; 01.12.12.024.215; 01.12.12.024.216; 01.12.12.024.217; 01.12.12.024.218; 01.12.12.024.219; 01.12.12.024.220; 01.12.12.024.221; 01.12.12.024.222; 01.12.12.024.223; 01.12.12.024.224) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

ვ) ქალაქ თბილისში, მირცხულავას ქუჩა, N9-11; ქალაქი თბილისი, ალიო მირცხულავას ქუჩა N11ა, ქალაქ თბილისში, კოსმონავტების სანაპირო N91, ქალაქი თბილისი, მირცხულავას ქუჩა N9-11-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტროკოდი: NN01.13.04.017.105; 01.13.04.017.106; 01.13.04.017.107; 01.13.04.017.108; 01.13.04.017.109; 01.13.04.017.110; 01.13.04.017.096; 01.13.04.017.101) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქ.თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, მარცხენა სანაპიროსა და ა. მირცხულავას 9/11-ის მიმდებარედ ამხანაგობა „გეომერიდიანი“-ის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა ფუნქციის ობიექტები) შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 15 იანვრის N01/14 ბრძანებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 26 დეკემბრის N19.1411.1771 განკარგულებით, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე მოწონებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის N19.1388.1763 განკარგულებით მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მირცხულავას ქუჩა, N9-11; ქალაქი თბილისი, ალიო მირცხულავას ქუჩა N11ა, ქალაქ თბილისში, კოსმონავტების სანაპირო N91, ქალაქი თბილისი, მირცხულავას ქუჩა N9-11-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტროკოდი: NN01.13.04.017.105; 01.13.04.017.106; 01.13.04.017.107; 01.13.04.017.108; 01.13.04.017.109; 01.13.04.017.110; 01.13.04.017.096; 01.13.04.017.101) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

ა) 2018 წლის 13 ნოემბრის N19-01183172801-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, აფრიკაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.23.016.643) დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი N1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით მიმდებარე ტერიტორიაზე ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი N1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2), სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) და სამრეწველო ზონა 1-ის გავრცელება (საერთო ფართობი: 438 623 კვ.მ);

ბ) 2018 წლის 22 აგვისტოს N19-01182342116-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, ვაზისუბანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.06.014.002) დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი N1) განსაზღვრული ზონირების გავრცელება.

კომისიის სხდომაზე საოქმოდ ტექნიკური შესწორება მოხდა ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ხდება მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო-ზონა (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) იცვლება ძირითადი რუკით (დანართი N1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6); საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და ზოგადი საცხოვრებელი ზონით (სზ); გავრცელება (საერთო ფართობი: 122 339 კვ.მ)

გ) 2019 წლის 7 ივნისის 19/01191583535-01 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, გლდანის VIII მიკრო/რაიონი, კორპუსი N33-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.10.001.426) ნაწილზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი N1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) გავრცელება (საერთო ფართობი: 186 კვ.მ);

დ) 2018 წლის 22 აგვისტოს N19-01182341000-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ზემოაუზნის ტერიტორიაზე არსებულ

N01.72.14.002.392, N01.72.14.002.507 და N01.72.14.002.551 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარედ არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი N1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება (საერთო ფართობი: 382 671 კვ.მ);

ე) 2018 წლის 29 აგვისტოს N19-01182411319-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში არსებულ N72.16.09.832, N72.16.09.835, N72.16.09.206 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარედ არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი N1.8) შემოთავაზებული ლანშაფტურ - სარეკრეაციო ზონისა და სარეკრეაციო ზონ 3-ის (რზ-3) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი N1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება (საერთო ფართობი: 548 026 კვ.მ);

ვ) 2019 წლის 23 სექტემბრის N17-01192662454-67 მომართვით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტების ქუჩა I შესახვევი N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.057) დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძირითადი რუკითა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5).

№12-03200238-03 - 23.01.2020;

ქალაქ თბილისში, ერმილე ბედიას ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.003) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. 2019 წლის 22 ოქტომბრის N16-01192951142 წერილის შესაბამისად, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ შეთანხმებულია მოძრაობის ორგანიზების სქემა. ზემოაღნიშნული მოძრაობის ორგანიზების სქემის შესაბამისად, N01.14.01.007.003 საკადასტრო ერთეულზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ის ნაწილი, რომელზეც მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება, არ მოიაზრება სქემის შემადგენელ ნაწილად. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) N01.14.01.007.030 საკადასტრო ერთეულის ნაწილზეც, ვინაიდან, აღნიშნული წარმოადგენს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს და ფაქტობრივი მდგომარეობით არ წარმოადგენს გზას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ერმილე ბედიას ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი:

N01.14.01.007.003) და ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი I, კორპუსი N2 მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.030) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღება (ცვლილების ფართობი: 103კვ.მ)

№12-0320023162-03 - 23.01.2020;

ა) 2019 წლის 19 ივნისის N19/01191702725-67 განცხადებით მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ქალაქ თბილისში, ტაბახმელა, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.00.512). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ფუნქციური ზონის ცვლილება ხორციელდება მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: N:81.02.02.665, N81.02.02.873, N81.02.02.396, N81.02.33.123, N81.02.33.038, N81.02.02.412, N 81.02.02.901). ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონაც (რზ) (ცვლილების ფართობი: 7370 კვ.მ);

ბ) 2019 წლის 16 დეკემბრის N01193502232-67 განცხადებით მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.011.096). ცვლილებას ექვემდებარება საპროექტო მიწის ნაკვეთის ნაწილზე არსებული გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-იც (რზ-2) (ცვლილების ფართობი: 4213კვ.მ);

გ) 2019 წლის 9 დეკემბრის N01193431980-67 განცხადებით მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური გამწვანების ფენის მოხსნა და ძირითად რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 3-ისა (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება ქალაქ თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა N48-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.009.094). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური გამწვანების ფენის მოხსნა და ძირითად რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 3-ისა (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება ხორციელდება მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.009.059; N01.14.05.009.068; N01.14.05.009.093; N01.14.05.009.087; N01.14.05.009.100; N01.14.05.009.062; N01.14.05.009.104; N01.14.05.009.120; N01.14.05.009.121) (ცვლილების ფართობი: 2849კვ.მ).

ა) ქალაქ თბილისში, ზემო ვაკე; ქალაქი თბილისი, ქუჩა ზემო ვაკე N26 მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ზემო ვაკე N16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.02.058.079) ნაწილზე (ცვლილების ფართობი: 184 კვ.მ) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ - სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ცვლილება და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 27 დეკემბრის N01193611460 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენის (ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა) მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზემო ვაკე; ქალაქი თბილისი, ქუჩა ზემო ვაკე N26 მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ზემო ვაკე N16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.02.058.079) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ - სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) გავრცელება მისაღებია.

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.273, N01.10.18.006.274, N01.10.18.006.270, N01.10.18.006.271) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.197, N01.10.18.006.142) საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული, საბავშვო ბაღი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის N414 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.273, N01.10.18.006.274, N01.10.18.006.270, N01.10.18.006.271) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

ა) 2019 წლის 6 აგვისტოს N19/01192182276-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.136.063-ის მიმდებარედ) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 2 173 კვ.მ);

ბ) 2020 წლის 3 იანვრის N0120003421-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N15ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.04.030.045) სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) (ცვლილების ფართობი: 2001 კვ.მ)

№12-031931141-03 – 07.11.2019 (ტ პოზიცია);

ტ) 2019 წლის 17 აპრილის N19/01191072141-67 განცხადება - ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.03.12.428) სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 1 799 კვ.მ).

№12-0319149104-03 – 29.05.2019 (ბ პოზიცია)

ბ) ქალაქ თბილისში, აბანოს ქუჩის ბოლოს (ქრელი აბანოს უკან) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.18.04.019.032; 01.18.04.019.043, საერთო ფართობი: 288 კვ.მ) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთები წარმოადგენს კერძო საკუთრებას და 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, მასზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), შესაბამისად შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და განთავსებულია შენობა-ნაგებობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 16 მაისის №01191364547 წერილი ადასტურებს, რომ ტერიტორიაზე არ ფიქსირდება მწვანე ნარგავები და ზონის ცვლილება შესაძლებელია. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, აბანოს ქუჩის ბოლოს (ქრელი აბანოს უკან) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.18.04.019.032; 01.18.04.019.043, საერთო ფართობი: 288 კვ.მ) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ბეჟან კალანდაძის №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების

გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №211 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0320024196-03 24.01.2020 -0119336200-67)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა ჯუბა ყანდარელმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ბეჟანკალანდაძის ქ. N3-ში არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: NN01.18.04.007.029; 01.18.04.007.016). საპროექტო ტერიტორიასთან მოხვედრა ხდება გორგასლის ქუჩიდან, საიდანაც მანძილი 80 მეტრია, მას სამხრეთიდან ესაზღვრება ბ.კალანდაძის ქუჩა ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხრიდან ნ. შატაიძის ქუჩა. არსებული მდგომარეობით, ტერიტორიაზეაშენებულია საპროექტო წინადადებით განსაზღვრული კომპლექსი, რომელშიც დაცულია საჭირო ავტოსადგომების რაოდენობა.

„ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ბეჟან კალანდაძის N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N211 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

„ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ბეჟან კალანდაძის ქ.N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის N443 განკარგულებით დამტკიცდა მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

„ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ბეჟან კალანდაძის ქ.N3-ში მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 13 სექტემბრის N304 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით დადგენილი პარამეტრებია: „ა“ ბლოკი კ1-0.4 კ2-2.9 კ3-0.1; „ბ“ ბლოკი კ1-0.5 კ2-3.3 კ3-0.1

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების პროექტში წარმოდგენილია: უფლებრივი ზონა - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), შემდეგი პარამეტრებით: „ა“ ბლოკი კ1-0.4 კ2-2.9 კ3-0.1; „ბ/გ“ ბლოკები კ1-0.5 კ2-2.9 კ3-0.1.

საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით იყო 4150 კვ.მ. ხოლო ამჟამად შეადგენს 4347კვ.მ-ს. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიჯნაზე ყველაზე თვალსაჩინო ადგილას კალანდაძის და ბერძნის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარეობდა დამოუკიდებელი 197 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი, რომელზეც მდებარეობს ერთსართულიანი ნაწილობრივ დანგრეული შენობა-ნაგებობა.

ვინაიდან, მიწის ნაკვეთის ფართობი და კონფიგურაცია დამოუკიდებლად შეუსაბამო იყო მშენებლობისათვის, მოხდა მიწის ნაკვეთის მშენებარე კომპლექსთან გაერთიანება, რის შედეგადაც შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი 1 სართულიანი ღია პარკირების შენობის ნაცვლად მოეწყო 5 მეტრამდე სიმაღლის, 200 - 250 კვ.მ-მდე ფართობის კაფე, მწვანე სახურავით და სკვერით. აღნიშნული ნაგებობა სავარაუდოდ არ იანგარიშება კ-2 კოეფიციენტში (დაზუსტდება განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე). შედეგად, არ ხდება კოეფიციენტების ზრდა, კორექტირების შედეგად ხდება მხოლოდ არსებული გარემოს გაუმჯობესება, გამწვანებული სივრცის მოწყობა ტერიტორიის მოწესრიგება და კეთილმოწყობა.

შეთანხმებულ განაშენიანების რეგულირების გეგმარებით დავალებაში ცვლილება განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: 1.საპროექტო არეალის კონფიგურაციის ცვლილებით, გაზრდით. 2.საპროექტო არეალის ფართობის ცვლილებით 4150 კვ.მ დაემატა 197კვ.მ და გახდა 4347კვ.მ. 3. მიერთებულ ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობის და შეთანხმებული პარკირების ნაცვლად იგეგმება კაფის განთავსება და სკვერის მოწყობა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონა (ისტ-2).

შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხი განიხილა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ და 2019 წლის 11 ივლისის N27 ოქმის თანახმად, საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 15 იანვრის N01200151282 წერილის თანახმად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.18.04.007.029 და N01.18.04.007.016 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 9 იანვრის N01200092578 (N01191721420- 21.06.2019) წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ბეჟან კალანდაძის ქუჩა N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.04.007.016 და N01.18.04.007.029) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილებას, გაცნობებთ, რომ ვინაიდან კორექტირება არ გულისხმობს არსებით ცვლილებებს, რაც გამოიწვევს სამანქანო ნაკადების ზრდასა და სატრანსპორტო სისტემების გადატვირთვას, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გეგმარებითი დავალების ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ბეჟან კალანდაძის N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N211 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებაში ცვლილების შეტანა წარმოდგენილი მოთხოვნითა და დასაბუთებით, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით დასაშვებია. ვინაიდან, ხდება არსებული გარემოს გაუმჯობესება, ტერიტორიის მოწესრიგება და კეთილმოწყობა. ხოლო ამორტიზებული შენობის და საპროექტო პარკინგის ნაცვლად კი ეწყობა კაფე და სკვერი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ბეჟან კალანდაძის N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N211 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. ქალაქ თბილისში, სანაპიროს ქუჩა №12, საქანელას ქუჩა №23, საქანელას ქუჩას მიმდებარედ, მ. ჯავახიშვილის ქუჩა (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე), №11, სასწრაფო სადგურის მიმდებარედ, ქუჩა საქანელას №20-ის მოპირდაპირედ

არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.003.024; №01.15.04.003.042; №01.15.04.003.044; №01.15.04.003.045; №01.15.04.003.005; №01.15.04.003.008; №01.15.04.003.013) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0320024195-03 24.01.2020 - 01192251226-67)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა ჯუბა ყანდარელმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სანაპიროს ქუჩა N12, საქანელას ქუჩა N23, საქანელას ქუჩის მიმდებარედ ნაკვეთი 03/042, მ. ჯავახიშვილის ქუჩა (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე) N11, სასწრაფო სამედიცინო სადგურის მიმდებარედ, (ნაკვ. 3\8), საქანელას ქუჩა N20-ის მოპირდაპირედ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, NN01.15.04.003.024; 01.15.04.003.042; 01.15.04.003.044; 01.15.04.003.045; 01.15.04.003.005; 01.15.04.003.008; 01.15.04.003.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა (რზ), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), ასევე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანიზონა (სსზ) და სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1).

საპროექტო ტერიტორია დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენს მცირედით განაშენიანებულ სივრცეს, რომელზეც ვრცელდება ისტორიული განაშენიანების სახელმწიფო დაცვის (ისტ-1), ისტორიული განაშენიანების რეგულირების (ისტ-2) და ისტორიული ნაწილის დამცავ ზონებში. ამასთან, უშუალო სიახლოვესაა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები, მათ შორის მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი. მოცემული ზონების დადგენის მიზანია მასში დაცული ძეგლების ისტორიულად ჩამოყალიბებული სივრცით არქიტექტურული გარემოს, განაშენიანების ტრადიციული ფორმების და იერსახის შენარჩუნება, ქალაქის ისტორიული ნაწილის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ორგანიზმის დაცვისა და შენარჩუნების უზრუნველყოფა, საპროექტო ობიექტების კონფიგურაცია, პროპორციები და გეგმარებითი სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ ისტორიულ ჩამოყალიბებულ ტიპს; ორგანულად უნდა ერწყმოდეს განაშენიანების გარემოს, არ უნდა უპირისპირდებოდეს ისტორიული განაშენიანების იერსახეს, მორფოლოგიას და მასშტაბს, ლანდშაფტურ გარემოს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ.თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №4634691 გადაწყვეტილების შესაბამისად, მიეცა დადებითი შეფასება ქ. თბილისში, სანაპიროს ქ. N12; მ. ჯავახიშვილის ქ. N11; სასწრაფო სამედიცინოსადგურის მიმდებარედ (ნაკვეთი 3/8); სანაპიროს ქ. N12; საქანელას ქ. N23; საქანელას ქუჩის მიმდებარედ ნაკვეთი 03/042-ში მრავალფუნქციური კომპლექსის ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხს, შემდეგი რეკომენდაციის გათვალისწინებით: „ზოგადად, ტერიტორიის განაშენიანება დასაშვებია მოცულობების ნაწილობრივ სახურავებ ქვეშ მოქცევით. სასურველია, ტერასების გამწვანება. მაღლივი შენობა შემდგომში სასურველია შემცირდეს სიმაღლეში. მეხუთე ფასადის გადაწყვეტა უპირატესად მწვანე სახურავებით, სიმაღლეითა დიფერენცირებით“.

შემოთავაზებული წინადადებით იგეგმებამრავალფუნქციური კომპლექსის განთავსება (სასტუმრო, საოფისე, საცხოვრებელი, კომერციული ფუნქციის მქონე ფართები შესაბამისი ავტო-საპარკინგე სისტემით, ინფრასტრუქტურული ელემენტებითა და სარეკრეაციო სივრცით). საპროექტო წინადადებით შემოთავაზებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). ტერიტორიაზე შესვლა ხორციელდება როგორც საფეხმავლო, ასევე სატრანსპორტო ნაკადებისათვის. ავტოტრანსპორტი ძირითადად მოძრაობს სანაპიროს მხრიდან, საფეხმავლო ნაკადები კი საკადასტრო საზღვრის სრულ პერიმეტრზე მოძრაობენ და გააჩნიათ რამოდენიმე შესვლა ტერიტორიაზე, რომელთაგან აქცენტირებული ვარდების მოედნის მხრიდან და გალაქტიონის ხიდის მოპირდაპირედ მოწყობილი ერთგვარი მოედნებია, ასევე არსებობს შიდა საფეხმავლო ქუჩათა ქსელი; ჯავახიშვილის ქუჩის მხრიდან შენობების გაბარიტებია წარმოადგენს 3-5 სართულიან დანაწევრებულ ნაგებობებს, სანაპიროს მხრიდან რელიეფის მკვეთრი ვარდნის გამო, შენობები, რომლებიც ესაზღვრება ჯავახიშვილის ქუჩას წარმოადგენენ 8-9 სართულიან მოცულობებს, რომელთა ნახევარიც პრაქტიკულად მიბჯენილია ფერდობს და ცალმხრივი ორიენტაციით არის მოცემული შიდა ეზოს ნაწილში. დომინანტ მოცულობას წარმოადგენს 15 სართულიანი ნაგებობა, რომელიც სანაპიროს მხრიდან განთავსებულია ნაკვეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ფუნქციური ზონირება წარმოადგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით არის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). ტერიტორიის საერთო ფართობი: 20860.0 კვ.მ. მოთხოვნილი პარამეტრები: კ-1-0,5; კ-2-3,1; კ-3-0,2. სართულიანობა: 3-15-მდე.

გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოებრივ საქმიან ზონა 1 (სსზ-1)-ში კოეფიციენტები განისაზღვროს არაუმეტეს $k-1=0.5$, $k-2=3.1$, $k-3=0.2$ -სა; განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე მოხდეს კოეფიციენტების/სიმაღლის დაზუსტება, ქვემოთმოცემულ დასკვნა/პოზიციაში დაფიქსირებული შენიშვნების გათვალისწინებით; ტერიტორიის კიდურა ნაწილში (ხიდისკენ) განთავსებულია მეტროს გვირაბში ჩასასვლელი. აღნიშნულთან დაკავშირებით, თბილისის


სატრანსპორტო კომპანიის 2019 წლის 11 დეკემბრის N01/9229 წერილის თანახმად, აღნიშნული ობიექტის შენახვა-მომსახურებისათვის საჭიროა დატოვებული იქნეს მისასვლელი გზა სატვირთო ავტომანქანისა და ამწეკრანისათვის. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდება აღნიშნული მონაკვეთი დაიტვირთოს სერვიტუტის უფლებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 247-ე მუხლის მიხედვით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ სასარგებლოდ. გამომდინარე აქედან განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტადიაზე გათვალისწინებული იქნეს აღნიშნული პირობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 31 დეკემბრის N0119365376 წერილის მიხედვით, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა NN01.15.04.003.048; 01.15.04.003.044; 01.15.04.003.024; 01.15.04.003.005; 01.15.04.003.008 და 01.15.04.003.013 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, სანაპიროს ქუჩა №12, საქანელას ქუჩა №23, საქანელას ქუჩას მიმდებარედ, მ. ჯავახიშვილის ქუჩა (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე), №11, სასწრაფო სადგურის მიმდებარედ, ქუჩა საქანელას №20-ის მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.003.024; №01.15.04.003.042; №01.15.04.003.044; №01.15.04.003.045; №01.15.04.003.005; №01.15.04.003.008; №01.15.04.003.013) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



რევაზ სოხაძე